



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესი

თბილისი

2018

მუხლი 1. ზოგადი დებულება

- 1.1. წინამდებარე პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესი (შემდგომში წესი) მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული მასწავლებლების შერჩევას.
- 1.2. პროფესიული მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესისა და მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული მასწავლებლი

- 2.1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV და V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 2.2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 3. პროფესიული მასწავლებლის შერჩევა

- 3.1. პროფესიული მასწავლებლის შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები.
- 3.2. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება და განხილვა. კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილვის შემდეგ დაწესებულების დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენენ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას. გასაუბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული მასწავლებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნათა დაცვით.
- 3.3. პროფესიული მასწავლებლის კანდიდატის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილება.
- 3.4. დაწესებულების მიერ შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 3.5. პრაქტიკული მეცადინეობის საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე ჩატარებისას, პრაქტიკას განახორციელებენ, ბაზის (პრაქტიკის ობიექტი) მიერ შეთავაზებული შესაბამისი პირები ან/და პროფესიული მასწავლებლები.
- 3.6. პრაქტიკული კომპონენტის განმხორციელებელი პირი, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე წესითა და კანონმდებლობით პროფესიული მასწავლებლისთვის დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- 4.1. შერჩეულმა პროფესიული მასწავლებლის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა. განცხადება დირექტორის სახელზე;
 - ბ. პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ. ავტობიოგრაფია-cv;
 - დ. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე. შესაბამისი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი;
 - ვ. სხვა დოკუმენტების (სიგელები, დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა) ასლები.
- 4.2. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელი დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
- 4.3. წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე წესში

- 5.1. წინამდებარე წესი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- 5.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.